ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №262566

ნომერი: AR154958

თარიღი : 30.05.2012

გაცემის თარიღი : 13.07.2012

გაცნობის თარიღი : 13.07.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შარტავა , N 40 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შარტავა , N 40 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შარტავა , N 40 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკოლოზ გეგუჩაძე პ/ნ 01021004482
- თბილისი საქიმოს შეს. N 2 ბ. 53

ორგანიზაცია:
- სს "ხალიკ ბანკი საქართველო" კოდი: 205236537

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

კონდენციონერებისა და კონდიცირება-ვენტილაციის ცხაურების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, შარტავას ქუჩა #40-ში, შ.პ.ს. "რეა"-ს და ს.ს. "ხალიკ ბანკი საქართველო"-ს კუთვნილი ფართების ფასადზე კონდენციონერებისა და კონდიცირება-ვენტილაციის ცხაურების მოწყობას, პასუხად გაცნობებთ, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "რეა"-ს და ს.ს. "ხალიკ ბანკი საქართველო"-ს კუთვნილი ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882011080015 04.03.11წ. საკადასტრო კოდი #01.10.13.012.015.01.001; ს.ს. "ხალიკ ბანკი საქართველო"-ს კუთვნილი ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882011079831 04.03.11წ. საკადასტრო კოდი #01.10.13.012.015.01.004; ს.ს. "ხალიკ ბანკი საქართველო"-ს კუთვნილი ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882011079825 04.03.11წ. საკადასტრო კოდი #01.10.13.012.015.01.002; შ.პ.ს. "რეა"-ს დირექტორის თანხმობა #407 11.07.12წ.; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, შარტავას ქუჩა #40-ში, შ.პ.ს. "რეა"-ს და ს.ს. "ხალიკ ბანკი საქართველო"-ს კუთვნილი ფართების ფასადზე კონდენციონერებისა და კონდიცირება-ვენტილაციის ცხაურების მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

გაითვალისწინეთ, რომ სავენტილაციო დანადგარის შემდგომი ფუნქციონირებისას დაცული უნდა იყოს შესაბამისი ნორმატივები და უსაფრთხოების ნორმები.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge